ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ბ5-20, 17.03.2020

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №19, 27.03.2020

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ბ12-25, 02.09.2025

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №20, 05.09.2025

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მენეჯმენტი

განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
სწავლების ენა:	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში *Master of Business Administration in Management*
სწავლის ხანგრძლივობა:	2 წელი (4 სემესტრი)
საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:	120 ECTS
პროგრამის ხელმძღვანელი:	პროფესორი, დოქტ. ეკატერინე ნაცვლიშვილი მობ.: (+995) 599 75 66 14 ელ.ფოსტა: natsvlishvili.ekaterine @eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: **შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები** სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე (იხ. ,,ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“).

შიდასაუნივერსტეტო გამოცდების საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.eu.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.

B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისობის დადგენისას სახელმძღვანელო ინფორმაცია ცხრილის სახითაა მოცემული.

ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5.5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	TOEIC – 785
	TOEFL iBT – 72
	TOEFL ITP – 543

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთო სამაგისტრო გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში საერთო სამაგისტრო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე).

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

გარე სამყაროდან მზარდი ზემოქმედების პირობებში, ნებისმიერი ბიზნესისა თუ ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს მმართველობითი პროცესების კვალიფიციურად განხორციელება და თანამედროვე მენეჯმენტის შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოყენება. ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი კვალიფიციური მართვა მოითხოვს მართვის თანამედროვე მეთოდების მცოდნე, მაღალკვალიფიციური მმართველობითი კადრების მომზადებას. მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების აქტუალობა განპირობებულია ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და თანამედროვე კომპანიების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნით ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც აუცილებელ თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ გლობალურ ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება (საშუალო და უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის დონეზე) და ამასთან ერთად, გაცნობერებული აქვთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაც - დაგეგმონ და განახორციელონ სამუშაო პროცესები ისე, რომ ისინი შეესაბამებოდნენ როგორც კომპანიის (ორგანიზაციის), ასევე საზოგადოების ინტერესებს, შესწევთ უნარი კერძო და სახელმწიფო ინტერესები მოაქციონ ჰარმონიულ ურთიერთობათა ჩარჩოში.

პროგრამის მიზანი

მენეჯმენტის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლადაა ასახული ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მასში ასევე გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების წარმატებული გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციებით აღჭურვოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე, კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც შეძლებენ ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებას, მათზე დელეგირებული მენეჯერული ფუნქციების ეფექტურად და ეფექტიანად შესრულებას, ასევე ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიურ მონაწილეობასა და საკუთარი წვლილის შეტანას ინოვაციურ სამეწარმეო საქმიანობასა თუ ბიზნესის წარმატებულ ადმინისტრირებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის **მიზანია**:

(1) **შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა** მენეჯმენტის სფეროს უახლეს მიღწევებზე, თანამედროვე ბიზნეს-ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოსა და ორგანიზაციული პროცესების მართვასთან, ციფრული ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე

(2) **განუმტკიცოს** ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ორგანიზაციის/ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შეფასების, მენეჯმენტის დარგისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების **პრაქტიკული თუ მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი** გადაწყვეტის **უნარ-ჩვევები;** აგრეთვე, კერძო/საჯარო ორგანიზაციებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებისა და საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებისთვის, ან დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი **პრაქტიკული უნარ-ჩვევები.**

(3) **შეუწყოს ხელი** მენეჯმენტის სფეროში მიღებული განათლების საფუძველზე ბიზნესის ცვალებად, კომპლექსურ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში; სოციალურ პასუხისმგებლობასა თუ ეთიკურ

ღირებულებებზე დაფუძნებული ბიზნეს-საქმიანობის მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

სწავლის შედეგები

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონის (უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დასრულება ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდეს / განუმტკიცდეს დარგობრივი კომპეტენციები (აგრეთვე ზოგადი უნარები, რომლებიც გამჭოლად არის ასახული ცალკეული კურსების სილაბუსებში). კერძოდ, მემეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

პროგრამის სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგების აღწერილობა**
ცოდნა და გაცნობიერება:	***სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს მენეჯმენტის სფეროს სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, რომლის საფუძველზეც:***
1	**სიღრმისეულად აღწერს** მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, უახლეს მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს; ინოვაციური მიღწევებისა და მეცნიერული კვლევის უახლეს შედეგებს
2	ორგანიზაციული მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის სფეროში მიღებულ თეორიულ ცოდნას **აკავშირებს** ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ორიგინალური/ინოვაციური იდეების გენერირებასა და უახლესი მეთოდებით კვლევასთან
უნარი	***სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარების საფუძველზე კურსდამთავრებული:***
3	**კომპლექსურად აანალიზებს** ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციული მენეჯ-მენტის სფეროში თანამედროვე ტენდენციებს, გლობალიზაციისა და ციფრული განვითარების ეპოქაში თანამედროვე ორგანიზაციების წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს; მაკრო/მიკრო ფაქტორების ზემოქმედებას ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე/ბიზნეს-საქმიანობაზე, **ორგანიზაციული პროცესების მართვასთან** დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს
4	რელევანტურად **იყენებს** თანამედროვე კონცეფციებს, მიდგომებს, მოდელებს, კვლევის სტანდარტულ / ინოვაციურ მეთოდებს ბიზნეს / ორგანიზაციული პროცესების კვლევის, პროგნოზირების, რისკ-ფაქტორების გამოვლენა-შეფასების, არსებული კომპლექსური თუ კონკრეტული პრობლემების ილუსტრირების და გადაწყვეტის ახალი/ინოვაციური გზების მოძიებისთვის
5	**კომპლექსურად იკვლევს** ორგანიზაციის ფუნქციურ სფეროებში (ოპერაციები, პროექტები, ფინანსები და აღრიცხვა, ადამიანური რესურსი, ინოვაციები და ცვლილებები, სტრატეგიული მართვა, მარკეტინგი) წამოჭრილი პრობლემებს

	და უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით **აფასებს** ბიზნეს-პროცესებს, ორგანიზაციულ პროექტებს/სამოქმედო გეგმებს, ორგანიზაციული რესურსების ეფექტური/ეფექტიანი მართვის პირობებს, ორგანიზაციული განვითარების შესაძლებლობებს
6	ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობისა და ორგანიზაციის შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე, **შეიმუშავებს** ბიზნეს მოდელებს, სტრატეგიებს, პროექტებს კონკრეტული ბიზნეს-სიტუაციისათვის, აგრეთვე ფუნქციონალურ სტრატეგიებს ბიზნესის ცალკეული ფუნქციური სფეროსთვის (პროექტები, ბიზნეს-ოპერაციები, ფინანსები, რისკები, მარკეტინგი, ადამიანური რესურსები); და **სახავს** სტრატეგიის განხორციელება-შეფასების, ორგანიზაციული პროცესების მართვის ღონისძიებებს
7	**დამოუკიდებლად წარმართავს** კვლევას თანამედროვე სტანდარტების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, სტანდარტული/ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებით; საკუთარი კვლევის შედეგებს, მეცნიერულად არგუმენტირებული ორიგინალური დასკვნების / რეკომენდაციების სახით, წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით **წარადგენს** აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა	*სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების საფუძველზე კურსდამთავრებული:*
8	**აფასებს** მენეჯერული/სამეწარმეო საქმიანობის, ინოვაციური და/ან სამეცნიერო კვლევების ეთიკურ და სოციალურ შედეგებს; ბიზნესისა თუ ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროში აღიარებული პრინციპების, დამკვიდრებული ნორმებისა და ღირებულებებისადმი საკუთარ თუ სხვების დამოკიდებულებას
9	ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებისას **მოქმედებს** ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში, კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრინციპების, საერთაშორისო სააღრიცხვო და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დაცვით

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. **დანართი #1**).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. **დანართი #2**).

პროგრამის მოცულობა

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუ-დენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს (4 სემესტრს) და მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს (3000 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის

ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.
პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-8-9 კვირა შუალედური გამოცდა, მე–18 - მე-20 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი, 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა და მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგისტრის მომზადება მიმდინარეობს სასწავლო და კვლევითი კომპონენტის მეშვეობით. მენეჯმენტის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, აქედან:

- **სასწავლი კომპონენტს** - 100 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

  ა) **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს** - 75 ECTS მოცულობით

  ბ) **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებს / კომპონენტს** - 25 ECTS მოცულობით

  - *მათ შორის, პროფესიულ პრაქტიკას* - *5 ECTS მოცულობით*

- **კვლევით კომპონენტს** - სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS მოცულობით

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სპეციალობის გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის არჩევით კომპონენტში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან (65 კრედიტის მოცულობით), საიდანაც მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე. ამოირჩიოს მისთვის სასურველი კურსები - ჯამში 25 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის ზემოაღნიშნული სტრუქტურა - ძირითადი (სავალდებულო) და არჩევითი კომპონენტების კომბინირებით - მაგისტრანტს ინდივიდუალური პროფილის ფორმირების შესაძლებლობას აძლევს. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და განვითარება განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. **დანართი #5**).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. (შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში).

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: **შუალედური შეფასების 50% , დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% + 1.**

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის შეუძლია დასაქმდეს ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციულ ორგანიზაციაში, არაკომერციულ ორგანიზაციაში: საწარმოებში, სამეწარმეო და კონსალტინგურ კომპანიებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნულ კორპორაციებში/მათ ფილიალებში,; სახელმწიფო სტრუქტურებში - ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დაიკავოს საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერის პოზიცია და განახორციელოს საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი, საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობა; ან/და განახორციელოს დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს მენეჯმენტში - შეუძლია სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში - შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და რესურსები. კერძოდ:

უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო აუდიტორიები, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით - პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია აუდიტორიები, აგრეთვე, კომპიუტერული კლასი, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული სწავლების საშუალებას იძლევა.

ბიბლიოთეკა - აღჭურვილია მენეჯმენტისა და ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებული დარგობრივი და სამეცნიერო ლიტერატურით, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი წიგნადი ფონდით, (პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სავალ-დებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან /და ბეჭდური ფორმით); ელექტრონული რესურსებით. ასევე, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა, შესაბამისად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით (EBSCO-ს, eLFL-ის, სხვა ელექტრონული ბაზებით) სარგებლობა.

საგამოცდო ცენტრი - უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში შეფასების პროცესის მხარდაჭერას.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - ქმნის უნივერსიტეტში მუშაობისა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისათვის ხელსაყრელ სამუშაო გარემოს.

პრაქტიკის გავლის / სტაჟირების შემთხვევაში, ევროპის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა განაწილებას პარტნიორ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მათთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებად უზრუნველყოფილია სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებულ სასწავლო კურსებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალი. (იხ. **დანართი #6**).

შენიშვნა: *სამაგისტრო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი, ეკატერინე ნაცვლიშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:

სოფიო ხუნდაძე